



დოქტორანტურისა და სადისერტაციო
საბჭოს

თარიღი	დეკემბერი 2019
თავი	0
გვერდი	1/19
ცვლილება	0

„დამტკიცებულია“


საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის
რექტორის პროფესორი

ს. ტეფნაძე
27 12 2019
დადგენილება № 110




საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი
დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს
დებულება

ირითადი ასლი

	დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება	თარიღი	დეკემბერი 2019
		თავი	1
	სარჩევი	გვერდი	2/19
		ცვლილება	0

1. სარჩევი

1. სარჩევი	2
i. ცვლილებები	3
ii. ცვლილებების ისტორია	4
iii. მოქმედი გვერდების სია	5
2. დოკუმენტაციის კონტროლი	6
3. ძირითადი ნაწილი	7
მუხლი 1. ზოგადი დებულებები	7
მუხლი 2. დოქტორანტურაში ჩარიცხვის წესები	7
მუხლი 3. სადისერტაციო საბჭო	8
მუხლი 4. სადისერტაციო საბჭოს უფლებამოსილება	9
მუხლი 5. სამეცნიერო ხელმძღვანელი	10
მუხლი 6. სადისერტაციო ნაშრომის მიმართ მოთხოვნები	11
მუხლი 7. სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი შეფასება	12
მუხლი 8. დისერტაციის დაცვა	15
მუხლი 9. სადისერტაციო ნაშრომის შეფასება	16
მუხლი 10. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი	17
4. დანართები	18
დანართი 1	18
დანართი 2	19


	დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება	თარიღი	დეკემბერი 2019
		თავი	i
	ცვლილებები	გვერდი	3/19
		ცვლილება	0

i. ცვლილებები

ცვლილების შეტანა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და რექტორის მონაწილეობით. შეცვლილი წესი დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს. დაუშვებელია ცვლილების განხორციელება ზემოაღნიშნული პროცედურის დარღვევით.

შედგენილია:	დამტკიცებულია:
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	რექტორი
თარიღი:	თარიღი:

ამოღებული გვერდი				დამატებული გვერდი			
თავი	გვერდი	ცვლილება	თარიღი	თავი	გვერდი	ცვლილება	თარიღი

	დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება	თარიღი	დეკემბერი 2019
		თავი	ii
	ii. ცვლილებების ისტორია	გვერდი	4/19
		ცვლილება	0

ii. ცვლილებების ისტორია

ცვლილების №	ცვლილების საფუძველი	შეცვლილი გვერდები	თარიღი	ცვლილების ინიციატორი




თარიღი	დეკემბერი 2019
თავი	iii
გვერდი	5/19
ცვლილება	0

iii. მოქმედი გვერდების სია

iii. მოქმედი გვერდების სია

თავი	გვერდი	ცვლილება	თარიღი		თავი	გვერდი	ცვლილება	თარიღი
0	1	0	დეკემბერი 2019					
1	2	0	დეკემბერი 2019					
i	3	0	დეკემბერი 2019					
ii	4	0	დეკემბერი 2019					
iii	5	0	დეკემბერი 2019					
2	6	0	დეკემბერი 2019					
3	7	0	დეკემბერი 2019					
3	8	0	დეკემბერი 2019					
3	9	0	დეკემბერი 2019					
3	10	0	დეკემბერი 2019					
3	11	0	დეკემბერი 2019					
3	12	0	დეკემბერი 2019					
3	13	0	დეკემბერი 2019					
3	14	0	დეკემბერი 2019					
3	15	0	დეკემბერი 2019					
3	16	0	დეკემბერი 2019					
3	17	0	დეკემბერი 2019					
4	18	0	დეკემბერი 2019					
4	19	0	დეკემბერი 2019					


	დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება	თარიღი	დეკემბერი 2019
		თავი	2
	დოკუმენტაციის კონტროლი	გვერდი	6/19
		ცვლილება	0

2. დოკუმენტაციის კონტროლი

დოკუმენტაციის კონტროლი ხორციელდება ხარისხის სახელმძღვანელოში გაწერილი წესებისა და პროცედურების მიხედვით. ამ წესებისა და პროცედურების მიზანია შეიქმნას სისტემა, რომელიც თანამშრომლებს მისცემს დოკუმენტების ადვილად ამოცნობისა და გამოყენების საშუალებას ორგანიზაციაში. ყველა კონტროლირებადი დოკუმენტი უნდა შეიქმნას და შეინახოს იმ ფორმატითა და წესებით, რომელიც გაწერილია ხარისხის სახელმძღვანელოში. ეს შექმნის პროცედურების სისტემას, რომელშიც დოკუმენტების შექმნა, განახლება და გავრცელება მოხდება ადვილად.

დოკუმენტების დასაგზავნი სია

ორგანიზაცია	ფორმატი	ასლის ნომერი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ბეჭდური	ძირითადი ასლი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია
ვებ-გვერდი	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია

	დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება	თარიღი	დეკემბერი 2019
		თავი	3
	ძირითადი ნაწილი	გვერდი	7/19
		ცვლილება	0


3. ძირითადი ნაწილი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- ამ დებულებით განისაზღვრება სადისერტაციო საბჭოს ფუნქციონირების, უფლებამოსილების, სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები, სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელისა და თემის მიმართ წაყენებულ ზოგადი მოთხოვნები, თემის წარდგენა-დაცვის და დოქტორანტის საბოლოო შეფასების წესები.
- საბჭო საქმიანობას წარმართავს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ევროკავშირის „უმაღლესი განათლების მოდერნიზაციის დღის წესრიგის“ (Modernization Agenda for Higher Education), ბოლონიის პროცესის, განათლების სფეროს მარეგულირებელი სხვა სამართლებრივი აქტების, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დებულების და წინამდებარე დებულების შესაბამისად.
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 180 (ECTS) კრედიტს, რაც თანაბრად გადანაწილებულია სწავლების სამ წელზე. დოქტორანტის განცხადების და ნაშრომის ხელმძღვანელის შუამდგომლობის საფუძველზე შესაძლებელია აღნიშნული ვადის გაგრძელება 2 წლამდე. ვადის შემდგომი გაგრძელების მიზანშეწონილობის მიზნით იქმნება კომისია საბჭოს 3 წევრისგან, რომლის დასკვნის საფუძველზე (აქტუალობა, შესრულებული და დარჩენილი სამუშაოს მოცულობა ნაშრომის დასასრულებლად, საჭირო ვადის ხანგრძლივობა) საბჭო უმრავლესობით იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის მსურველთა მიღება ცხადდება ოქტომბერსა და აპრილში. წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა, დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობები და ვადები განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური აქტით, რომელიც ხელმისაწვდომობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. ვაკანტური ადგილების რაოდენობას ადგენს ფაკულტეტის საბჭო სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურთან შეთანხმებით და ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.

მუხლი 2. დოქტორანტურაში ჩარიცხვის წესები


- დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:
 1. განცხადება;
 2. პირადობის მოწმობის ასლი;
 3. მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში, დოკუმენტი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ;
 4. ელექტრონული ფოტოსურათი (ზომით 3X4);
 5. სამხედრო მიწერის მოწმობა ან სამხედრო ბილეთი (საქართველოს მოქალაქე ვაჟებისათვის);
 6. უცხო (ინგლისური, გერმანული, რუსული) ენების B2 დონეზე ფლობის სერტიფიკატი, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს მოეთხოვებათ ქართული ენის ცოდნა;
 7. სამეცნიერო ხელმძღვანელის წერილობითი თანხმობა;

	დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება	თარიღი	დეკემბერი 2019
		თავი	3
	ძირითადი ნაწილი	გვერდი	8/19
		ცვლილება	0

- 2.8. საკვლევო თემატიკის აღწერა, მისი მნიშვნელობის დასაბუთება და სასწავლო გეგმის პროექტი.
- 2.9. რექტორის აქტით შესაძლოა განისაზღვროს სხვა დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენის ვალდებულება;
3. თუ პირს არ გააჩნია ამ მუხლის პირველი პუნქტის 2.6 ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტი, იგი აზარებს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ გამოცდას უცხო ენაში.
4. რექტორის ინდივიდუალური აქტით იქმნება საბუთების მიმღები (დარგობრივი) კომისია, რომელიც დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად ახდენს პირის შეფასებას. გასაუბრების კრიტერიუმებია:
 - 4.1. სწავლის მსურველის მოტივაცია;
 - 4.2. კანდიდატის კრეატიული ან ანალიზური აზროვნების უნარი;
 - 4.3. პროფესიული ცოდნის დონე;
 - 4.4. პროფესიული და აკადემიური მიღწევები იმ სფეროში, სადაც კანდიდატს სურს კვლევის განხორციელება.
5. კომისიის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, რექტორს წარედგინება რეკომენდაცია პირის დოქტორანტურაში ჩარიცხვის თაობაზე;

მუხლი 3. სადისერტაციო საბჭო


1. სადისერტაციო საბჭო შედგება უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამებით გათვალისწინებული დარგის/სპეციალობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორებისგან. საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება მოწვეულ იქნენ შესაბამისი დარგის/სპეციალობის დოქტორის ხარისხის მქონე პირები საქართველოს და უცხოეთის სასწავლო და სამეცნიერო ცენტრებიდან. მოწვეულ წევრთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საბჭოს წევრთა 25%-ს.
2. სადისერტაციო საბჭოს წევრობის კანდიდატებმა თანხმობა საბჭოს წევრობაზე წერილობით უნდა დაადასტურონ.
3. სადისერტაციო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველია:
 - 3.1. პირადი განცხადება;
 - 3.2. უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებული შემთხვევები;
 - 3.3. სადისერტაციო საბჭოს წევრის ფუნქციების არაჯეროვანი შესრულება.
4. საბჭოს თითოეული ქვედარგი წარმოდგენილი უნდა იქნას არანაკლებ 5 წევრით. ყოველი ქვედარგი რეგისტრირდება მხოლოდ ერთ საბჭოში. საბჭოს შემადგენლობის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N 69/ნ ბრძანებით დადგენილი კვალიფიკაციების ჩამონათვალი.
5. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს საავიაციო უნივერსიტეტის რექტორი და მისი უფლებამოსილების ვადაა 4 წელი.
6. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს სადისერტაციო საბჭო ირჩევს თავის შემადგენლობიდან სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით. თავმჯდომარის არჩევამდე პირველ სხდომას უძღვება საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი.
7. სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივნის კანდიდატურას საბჭოს შემადგენლობიდან წარადგენს თავმჯდომარე. სწავლულ მდივანს საბჭო ირჩევს ღია კენჭისყრით სიითი შემადგენლობის უმეტესობით და ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო.

	დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება	თარიღი	დეკემბერი 2019
		თავი	3
	ძირითადი ნაწილი	გვერდი	9/19
		ცვლილება	0

8. სადისერტაციო საბჭოს მისი თავმჯდომარის დასაბუთებული მოთხოვნით, შეუძლია ღია კენჭისყრით აირჩიოს თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში უძღვება სხდომებს.
9. საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს სხდომებზე. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის 2/3. გადაწყვეტილება მიღებულია თუ მას ხმას მისცემს დამსწრე წევრთა უმრავლესობა;
10. საბჭოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და სწავლული მდივანი.


მუხლი 4. სადისერტაციო საბჭოს უფლებამოსილება

1. სადისერტაციო საბჭოს სხდომებს იწვევს თავმჯდომარე. თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში სხდომის მოწვევა შეუძლია თავმჯდომარის მოადგილეს თავმჯდომარესთან შეთანხმებით. სხდომაზე საბჭოს სწავლული მდივნის დაუსწრებლობის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია სხდომის მდივნის მოვალეობა დააკისროს საბჭოს ერთ-ერთ წევრს. 2. საბჭოს თავმჯდომარე (ან მოადგილე) არ შეიძლება წარმართავდეს სხდომას, თუ იგი ამავე დროს არის იმ დისერტანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, რომელიც იცავს.
 - 1.1. საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია:
 - 1.2. წარმართოს საბჭოს მუშაობა;
 - 1.3. წაუძღვეს საბჭოს სხდომებს;
 - 1.4. ხელი მოაწეროს გადაწყვეტილებებს;
 - 1.5. უზრუნველყოს საბჭოს გამართული ფუნქციონირება.
2. საბჭოს სწავლული მდივანი.
 - 2.1. ახდენს სხდომების წარმართვის ტექნიკურ უზრუნველყოფას;
 - 2.2. აღრიცხავს საბჭოს წევრების სხდომაზე დასწრებას;
 - 2.3. აღრიცხავს საბჭოს, მათ შორის, დოქტორანტების დოკუმენტაციას;
 - 2.4. უზრუნველყოფს ინფორმაციის დროულ განთავსებას ფაკულტეტის ვებ-გვერდზე;
 - 2.5. ამოწმებს დისერტაციის და ავტორეფერატის გაფორმების შესაბამისობას მოთხოვნებთან;
 - 2.6. დისერტაციის დაცვამდე შესაბამისი დადებითი გადაწყვეტილების მიღებიდან 1 კვირის განმავლობაში სსუ-ის ბიბლიოთეკას გადასცემს დისერტაციის და ავტორეფერატის ეგზემპლარებს, მათ ელექტრონულ ვერსიებს;
 - 2.7. გადასცემს დისერტაციის და ავტორეფერატის ეგზემპლარებს ოფიციალურ რეცენზენტებს;
 - 2.8. გადასცემს ავტორეფერატის ეგზემპლარებს საბჭოს წევრებს.

	დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება	თარიღი	დეკემბერი 2019
		თავი	3
	ძირითადი ნაწილი	გვერდი	10/19
		ცვლილება	0


მუხლი 5. სამეცნიერო ხელმძღვანელი

1. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე უნივერსიტეტის აკადემიური ან მოწვეული პერსონალი.
2. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის 5 წლის გამოცდილება და სულ მცირე 5 პუბლიკაცია.
3. დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელს ირჩევს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაბარების წინ. მასთან ათანხმებს სადისერტაციო ნაშრომის სავარაუდო სათაურს, სამეცნიერო პროექტისა და სწავლის შედეგების პროგრამით გათვალისწინებულ ვადებში მიღწევის გეგმას და მხოლოდ მასთან შეთანხმების შემდეგ უნივერსიტეტს მიმართავს არსებული წესით ჩარიცხვის თხოვნით.
4. სადისერტაციო საბჭო, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის შუამდგომლობის საფუძველზე, ამტკიცებს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს, (თანახელმძღვანელებს). ერთ-ერთი თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს სხვა დაწესებულების ან უცხო სახელმწიფოს სასწავლო ან სამეცნიერო ორგანიზაციის პროფესორი (ასოცირებული პროფესორი). პარტნიორი დაწესებულების მონაწილეობისას სადისერტაციო სამუშაოებს უნდა უხელმძღვანელონ სსუ-ს პროფესორმა და პარტნიორი დაწესებულების პროფესორმა, რაც დასტურდება თემაზე მუშაობის დროს შესაბამის დოკუმენტებზე ხელმოწერებით.
5. სწავლების პირველი წლის მეორე სემესტრის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში სადისერტაციო საბჭო, სამეცნიერო ხელმძღვანელის წარდგინებით, განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტის სადისერტაციო თემისა და სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ. ამ გადაწყვეტილების (საბჭოს სხდომის ოქმის ამონაწერი და საბჭოს თავმჯდომარის მოხსენებითი ბარათი) საფუძველზე სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახური ადგენს ბრძანების პროექტს სადისერტაციო თემის დამტკიცების შესახებ.
6. დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად წარადგენს სამუშაო გეგმას, რომელიც გაწერილია ეტაპებით, ვადებით, მხარეების ვალდებულებებითა და პასუხისმგებლობებით, გამოსაყენებელი სასწავლო რესურსითა და სხვა აქტივობებით. სამუშაო გეგმა შესაძლოა პერიოდულად შეიცვალოს აქტივობების განვითარების მიზნით. პირველადი და შემდგომი ცვლილებების ამსახველი სამუშაო გეგმა დოქტორანტის მიერ როგორც თავდაპირველად, ასევე ყოველ ცვლილებაზე, ხელმოწერილი და მიწოდებულ უნდა იქნას უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურისათვის.
7. სწავლების მეორე წლის პირველი თვიდან დისერტანტს უფლება აქვს მოითხოვოს სამეცნიერო ხელმძღვანელის შეცვლა, თანახელმძღვანელის დანიშვნა, სადოქტორო ნაშრომის გეგმის კორექტირება, ნაშრომის სათაურის კორექტირება, რისთვისაც ის მიმართავს პროგრამის ხელმძღვანელს, რომლის მოტივირებული განცხადების საფუძველზე, საბჭო იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის შესაბამისი მოხსენებითი ბარათი, ოქმთან ერთად, წარედგინება სსუ-ს სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურს, რომელიც არსებული წესის თანახმად, უზრუნველყოფს ბრძანების პროექტის მომზადებას.
8. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის შესაბამისად დოქტორანტი სწავლების მეორე და მესამე წელს ატარებს კვლევებს, ხელმძღვანელთან ერთად ინტენსიური კონსულტაციების თანხლებით მუშაობს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის მიზნით. სამეცნიერო ხელმძღვანელი ამოწმებს დოქტორანტის სამუშაო გეგმის შესრულებას და მიმართავს საბჭოს ნაშრომის დაცვაზე დაშვების ან, არსებული წესით, ნაშრომის დასრულების თარიღის გადავადების თაობაზე.

	დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება	თარიღი	დეკემბერი 2019
		თავი	3
	ძირითადი ნაწილი	გვერდი	11/19
		ცვლილება	0

მუხლი 6. სადისერტაციო ნაშრომის მიმართ მოთხოვნები

1. დოქტორანტმა სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დასაშვებად საბჭოში უნდა წარადგინოს:
 - 1.1. განცხადება საბჭოს თავმჯდომარის სახელზე დისერტაციის განსახილველად მიღების თხოვნის შესახებ;
 - 1.2. ცნობა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ათვისების შესახებ, რომელსაც გასცემს ფაკულტეტი.
 - 1.3. სადოქტორო პროგრამის სწავლების ენაზე შესრულებული დისერტაციის 4 აკინძული ეგზემპლარი და მისი ელექტრონული ვერსია (PDF ფორმატში) უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განსათავსებლად; ავტორეფერატის წინასწარ განსაზღვრული რაოდენობა, გარე ადრესატებისათვის და საბჭოს წევრებისათვის.
 - 1.4. სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი და დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნებული ნაშრომები (სულ მცირე სამი სამეცნიერო სტატია, რომლებიც გამოქვეყნებულია საბჭოს მიერ რეკომენდებულ რეფერირებად ჟურნალებში).
 - 1.5. სამეცნიერო კონფერენციის/კონფერენციების ან სემინარების, ან სხვა სახის სამეცნიერო შეკრებების მასალები (მინიმუმ ერთი მოხსენება), გამოგონების/გამოგონებების, ან/და პატენტის/პატენტების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტები (მათი არსებობის შემთხვევაში) და მათი სია;
 - 1.6. სამეცნიერო ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელების) მიერ დოქტორანტის დახასიათება სწავლის, კვლევისა და დისერტაციის მომზადების პერიოდში გამოვლენილი საქმიანი თვისებების შესახებ;
2. დისერტაციის სტრუქტურა არის თავისუფალი, მაგრამ უნდა შეიცავდეს შემდეგ კომპონენტებს:
 - 2.1. შესავალი;
 - 2.2. თემის აქტუალობა;
 - 2.3. თემის მიზანი;
 - 2.4. ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება;
 - 2.5. ნაშრომის რეალიზაცია;
 - 2.6. მიღებული სამეცნიერო შედეგები და მათი უტყუარობა;
 - 2.7. ნაშრომის აპრობაცია.
3. დისერტაციის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 220 გვერდს და არ უნდა იყოს 140 გვერდზე ნაკლები, ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭოს თანხმობით, დისერტაციის მოცულობა შეიძლება შეიცვალოს.
4. ფურცლის სტანდარტული ზომა A4 ფორმატია. შრიფტის ზომა უნდა იყოს 12, სტრიქონებს შორის მანძილი - 1,5. გვერდის ზედა და ქვედა კიდიდან ტექსტის დაშორება 25მმ. გვერდის მარჯვენა კიდიდან დაშორება 15 მმ., ხოლო მარცხენა კიდიდან 30 მმ. ტექსტი უნდა იყოს აკრეფილი შრიფტში-Sylfaen;
5. სადოქტორო ნაშრომის ელექტრონული ვერსია, რომელიც უნდა განთავსდეს საავიაციო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, უნდა აკმაყოფილებდეს იმავე მოთხოვნებს, მხოლოდ ერთი განსხვავებით-ცხრილები და გრაფიკები უნდა იყოს შესრულებული Microsoft Excel პროგრამაში;
6. საილუსტრაციო მასალა (ცხრილები, ნახაზები, სქემები, გრაფიკები), რომლებიც წარმოდგენილია ცალკეულ გვერდზე, ჩაითვლება გვერდების საერთო დანომვრაში, მიეცემა არაბული ნუმერაცია ცალკეული თავის ფარგლებში და აღინიშნება სიმბოლოთი, მაგალითად


	დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება	თარიღი	დეკემბერი 2019
		თავი	3
	ძირითადი ნაწილი	გვერდი	12/19
		ცვლილება	0

„ნახ. 1.2 ან გრაფიკი 2.3.“ (პირველი თავის მეორე ნახაზი ან მეორე თავის მესამე გრაფიკი), ამის შემდეგ მოტანილ უნდა იქნეს საილუსტრაციო მასალის განმარტებითი მინაწერი, ცხრილების აღნიშვნა იმავე წესით უნდა განხორციელდეს. სტატისტიკური ინფორმაცია ტექსტში დადასტურებული უნდა იყოს საინფორმაციო წყაროს მითითებით;


7. სადისერტაციო ნაშრომში ციტირებული ლიტერატურის გაფორმებისას დაცული უნდა იქნეს შემდეგი მოთხოვნები:
 - 7.1. ლიტერატურა მითითებული უნდა იქნეს პირველი ავტორის გვარის ანბანური თანმიმდევრობით ან ტექსტში საჭიროების მიხედვით მოცემული მიმდევრობის მიხედვით;
 - 7.2. ლიტერატურის მითითებისას უნდა აღინიშნოს ავტორის (ან ავტორთა) გვარი, ინიციალები, ნაშრომის სახელწოდება, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, გამოცემის წელი, ტომი, გვერდების რაოდენობა ან როგორც ეს გამოყენებული ლიტერატურის სატიტულო გვერდზეა აღნიშნული.
8. ავტორეფერატი უნდა გაფორმდეს მე-2 დანართში წარმოდგენილი წესების მიხედვით.

მუხლი 7. სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი შეფასება


1. საბჭო ყოველსემესტრულად იხილავს კვლევითი კომპონენტების შესრულების მიმდინარეობას და შედეგების შეფასებას ახდენს ღია კენჭისყრით.
2. დოქტორანტის მიერ კოლოკვიუმზე საპრეზენტაციოდ წარმოდგენილი ნაშრომი წარმოადგენს სადოქტორო დისერტაციის ნაწილს - ერთ-ერთ თავს (თავებს). დოქტორანტი ვალდებულია თეორიულ-ექსპერიმენტული კვლევის შედეგების ბეჭდური და ელექტრონული ვერსიები ეტაპების შესაბამისად (კოლოკვიუმი -1, კოლოკვიუმი -2, კოლოკვიუმი -3) სემესტრის დასრულებამდე სულ მცირე 3 კვირით ადრე წარუდგინოს ხელმძღვანელს, რომელმაც ერთი კვირის განმავლობაში უნდა განიხილოს ანგარიში და შეფასების მიცემის შემდეგ გადასცეს გადასცეს სადისერტაციო საბჭოს.
3. სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად ინიშნება კოლოკვიუმი (1,2,3)
4. დოქტორანტის მიერ შესრულებული ნაშრომის პრეზენტაციისათვის.
5. თეორიულ/ექსპერიმენტული კვლევის შედეგების შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:
 - 5.1. კვლევის მეთოდოლოგია; კვლევის შესაბამისობა დამტკიცებულ გეგმასთან;
 - 5.2. კვლევის მეთოდები და კვლევის აღწერის სისრულე;
 - 5.3. კვლევის შინაარსობრივი მხარე და ტექნიკურად გამართულობა;
 - 5.4. შედეგების საფუძვლიანობა.
6. ნაშრომის თეორიულ/ექსპერიმენტული კვლევის თითოეული ეტაპი (1,2,3) ფასდება 4 დონიანი სკალის შესაბამისად:
 - 6.1. შეესაბამება მოთხოვნებს - ეტაპი ფასდება, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუ კვლევის ეტაპი სრულად შეესაბამება დოქტორანტის სასწავლო და სამუშაო გეგმებით განსაზღვრულ ამოცანებს და კვლევითი კომპონენტისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.
 - 6.2. მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს - დონე ფასდება, როგორც „მეტწილად“
 - 6.3. შესაბამისობაში მოთხოვნებთან“, თუ კვლევის ეტაპი მეტწილად უზრუნველყოფს სასწავლო გეგმას და სამუშაო გეგმის მოთხოვნების დაკმაყოფილებას და დოქტორანტს შეუძლია შესაბამისი შედეგების დემონსტრირება. თუმცა, კვლევებს აქვს სუსტი მხარეები, რომელთა მოკლევადიან პერიოდში (1 თვემდე) დოქტორანტს აქვს მზაობა და შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი გეგმა.

	დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება	თარიღი	დეკემბერი 2019
		თავი	3
	ძირითადი ნაწილი	გვერდი	13/19
		ცვლილება	0

- 6.4. ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს - ეტაპი ფასდება, როგორც „ნაწილობრივ
- 6.5. შეესაბამება მოთხოვნებს“, თუ კვლევის ეტაპი უზრუნველყოფს სასწავლო და სამუშაო გეგმის მოთხოვნების დაკმაყოფილებას და მას აქვს სუსტი მხარეები,
- 6.6. რომელთა დასაძლევათაც საჭიროა მნიშვნელოვანი რესურსების მობილიზება, თუმცა დოქტორანტს აქვს მზაობა და საშუალოვადიან პერიოდში (არაუმეტეს 1 სემესტრისა), მომდევნო ეტაპის პარალელურად, სუსტი მხარეების დასაძლევად შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი გეგმა.
- 6.7. არ შეესაბამება მოთხოვნებს - თუ არსებული რესურსებით ან/და პრაქტიკით ვერ
- 6.8. უზრუნველყოფს სასწავლო გეგმის და სამუშაო გეგმის მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ეტაპი „არ შეესაბამება მოთხოვნებს“-ის შემთხვევაში საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მორიგი მოსმენის შესახებ ანგარიშის მზაობის შემდეგ. შემდგომი უარყოფითი შეფასების შემთხვევაში დოქტორანტმა ხელახლა უნდა შეასრულოს ეტაპით გათვალისწინებული კვლევითი სამუშაოები.
7. თითოეული შემფასებელი სპეციალურ ბიულეტენში აფასებს ცალკეულ კრიტერიუმს ზემოთ მოცემული სკალის მიხედვით და იმავე ბიულეტენში გამოჰყავს საბოლოო შეფასება უბრალო რაოდენობრივი უპირატესობის პრინციპით.
8. დოქტორანტის დაცვაზე დაშვების გადაწყვეტილების მისაღებად სამეცნიერო ხელმძღვანელი, სწავლების VI სემესტრში, ახდენს დოქტორანტის სამუშაო გეგმის შესრულების შემოწმებას.
9. სამეცნიერო ხელმძღვანელი არგუმენტირებული განცხადებით აცნობს სადისერტაციო საბჭოს ნაშრომის შემოწმების შედეგებს. დასკვნის შესაბამისად დოქტორანტი მიმართავს საბჭოს ნაშრომის დაცვაზე დაშვების ან არსებული წესით ნაშრომის დასრულების გადავადების თაობაზე.
10. დაცვაზე დაშვების გადაწყვეტილების მისაღებად სადისერტაციო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ქმნის დისერტაციის თემატიკის შესაბამის სამწევრიან კომისიას, რომელიც გაეცნობა დისერტაციას და 10 სამუშაო დღეში აშხადებს დასკვნას:
11. დასკვნა სადისერტაციო ნაშრომის შესახებ უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:
 - 11.1. სადისერტაციო ნაშრომის შინაარსის დისერტაციის თემის გაშლილ გეგმასთან შესაბამისობა; სადისერტაციო ნაშრომის გაფორმების შესატყვისობა „დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების მოთხოვნებთან“;
 - 11.2. დოქტორანტის მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციის/პუბლიკაციების შესაბამისობა სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილ მასალებთან;
 - 11.3. ლიტერატურულ წყაროებზე მითითების გარეშე დისერტაციაში სხვა ავტორების კვლევის (ინფორმაციის) სათავისოდ გამოყენების (პლაგიატის) დაფიქსირება;
 - 11.4. ავტორფერატის შინაარსის დისერტაციასთან შესაბამისობა.
12. დასკვნა, სადისერტაციო ნაშრომის შეფასებასთან ერთად, უნდა შეიცავდეს შესაბამის რეკომენდაციებს ნაშრომის დაცვაზე დაშვებისა ან შესასწორებლად დოქტორანტისათვის უკან დაბრუნების, ან /და დაცვაზე უარის თქმის შესახებ;
13. სადისერტაციო საბჭოს სამწევრიანი კომისიის და დისერტანტის ხელმძღვანელის წერილობითი დასკვნების საფუძველზე ხდება ნაშრომის დაცვისწინა განხილვა საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის და მოწვეული
14. სპეციალისტების მიერ. ნაშრომის დაცვის წინა განხილვა უნდა ითვალისწინებდეს დოქტორანტის მზაობას დაცვისათვის შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:
 - 14.1. საკითხების მეცნიერული განხილვის დონე;
 - 14.2. ჩამოყალიბების გამართულობა;

	დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება	თარიღი	დეკემბერი 2019
		თავი	3
	ძირითადი ნაწილი	გვერდი	14/19
		ცვლილება	0


- 14.3. საკითხების გადაწყვეტის ხერხები, მეთოდები და მონაცემთა საიმედოობა;
- 14.4. შედეგების გამოყენებადობა.
15. შეფასებასთან ერთად დასკვნა უნდა შეიცავდეს შესაბამის რეკომენდაციებს ნაშრომის დაცვაზე დაშვების, შესასწორებლად დოქტორანტისათვის დაბრუნების ან დოქტორანტის დაცვაზე არდაშვების შესახებ.
16. თუ დისერტანტი დაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით არ იქნება დაშვებული დაცვაზე, დოქტორანტს უფლება ეძლევა დამატებით იმუშაოს დისერტაციაზე და ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი. შესწორებული ნაშრომის ისევე უარყოფითად შეფასების შემთხვევაში დოქტორანტის ნაშრომი არ მიიღება დასაცავად.
17. იმ შემთხვევაში თუ კომისიამ დასაშვებად ცნო ნაშრომი დაცვისათვის, დაცვის საბჭო ერთი კვირის განმავლობაში ნიშნავს დისერტაციის დაცვის თარიღს, გამოყოფს ოფიციალურ ორ რეცენზენტს, გადასცემს მათ დისერტაციისა და ავტორეფერატის ეგზემპლარებს;
18. ოფიციალური რეცენზენტი უნდა იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის დარგში გამოქვეყნებული აქვს სულ მცირე 3 შრომა, რომელთა შესაბამისობას ადგენს საბჭო. ოფიციალური რეცენზენტი არ შეიძლება იყოს: სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე ან სწავლული მდივანი, დოქტორანტის მიერ შესრულებული რომელიმე ნაშრომის თანაავტორი ან დისერტანტზე თანამდებობრივად დამოკიდებული პირი;
19. საბჭო უფლებამოსილია დოქტორანტს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია ან/და დოკუმენტები და ასევე, მოიწვიოს დოქტორანტი სხდომაზე საჭირო განმარტების მიცემის მიზნით;
20. დისერტაციის დაცვის საბჭო რეცენზენტებს დისერტაციის შეფასებისთვის განუსაზღვრავს 1-თვიან ვადას. თითოეულმა რეცენზენტმა დასკვნა ორ-ორ ეგზემპლარად უნდა წარმოადგინოს საბჭოში აღნიშნულ ვადაში.
21. დისერტაციის დაცვის საბჭომ დოქტორანტს წერილობით უნდა აცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. დაცვაზე დაშვების შემთხვევაში შეტყობინებაში უნდა იყოს მითითებული დაცვის თარიღი და დრო, გარეშე პირთა დასწრების შესაძლებლობა და მათი დასაშვები რაოდენობა. შეტყობინებიდან დაცვის თარიღამდე დოქტორანტს უნდა მიეცეს არანაკლებ 15 დღისა დაცვისათვის მოსამზადებლად. დოქტორანტს ეძლევა უფლება გაეცნოს რეცენზენტების დასკვნებს;
22. ოფიციალური რეცენზენტების დასკვნაში უნდა აისახოს: სადისერტაციო თემის აქტუალობა, სიახლე, კვლევის მეცნიერული დონე, კვლევის ხარისხი, სამეცნიერო კვლევის შედეგების მდგრადობა და სანდოობა, გამოყენებული მეთოდები (მეთოდოლოგია), ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება და სავარაუდო (ან რეალური) ეკონომიური ეფექტი, დისერტაციის გაფორმების ხარისხი და სხვ.
23. დასკვნაში აღნიშნული უნდა იყოს ოფიციალური რეცენზენტის აზრი აკმაყოფილებს თუ არა დისერტაცია წაყენებულ მოთხოვნებს, იმსახურებს თუ არა დოქტორანტი დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებას;
24. თუ რომელიმე ოფიციალური რეცენზენტი ვერ ახერხებს დასკვნის წარმოდგენას ობიექტური გარემოებების გამო, სათანადო ცნობის ან მოხსენებითი ბარათის წარმოდგენის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარე უახლოეს ვადაში იწვევს საბჭოს სხდომას, მტკიცდება სხვა ოფიციალური რეცენზენტი და განიხილება დაცვის თარიღის ცვლილების აუცილებლობა;
25. საბჭოს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ ეცნობება დისერტანტს;

	დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება	თარიღი	დეკემბერი 2019
		თავი	3
	ძირითადი ნაწილი	გვერდი	15/19
		ცვლილება	0

26. თუ დისერტაცია შესრულებულია საბჭოში შემავალი დარგის და სხვა დარგის მიჯნაზე, საბჭოს შემადგენლობაში ხმის უფლებით, უნდა იქნეს დამატებით შეყვანილი შესაბამისი დარგის სულ მცირე 3 სპეციალისტი, რომლებიც აკმაყოფილებენ საბჭოს წევრის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს. ასეთ შემთხვევაში, მიზანშეწონილია ოფიციალურ რეცენზენტად დამატებით მოწვეულ იქნეს ამ დარგის სპეციალისტი;
27. დისერტაციის დაცვამდე ერთი თვით ადრე გამოიცემა უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება დაცვის დანიშვნის შესახებ. ბრძანებაში მითითებული უნდა იყოს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამისა და სადისერტაციო თემის დასახელება, მისი ავტორის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, სამეცნიერო ხელმძღვანელი/ თანახელმძღვანელები, ოფიციალური რეცენზენტები, დაცვის თარიღი, დრო და ადგილი. აღნიშნული ინფორმაციის საჯაროობას უზრუნველყოფს საბჭოს სწავლული მდივანი (ვებ-გვერდზე განცხადების განთავსებით და სხვა საშუალებებით);
28. დოქტორანტს უფლება აქვს ოფიციალური რეცენზენტების უარყოფითი დასკვნის შემთხვევაშიც მოითხოვოს დაცვის ჩატარება. ასევე, მას უფლება აქვს მოტივირებული მიზეზების საფუძველზე მოხსნას განხილვიდან თავისი ნაშრომი დაცვამდე ნებისმიერ ეტაპზე. ამ მიზეზების გათვალისწინების შემთხვევაში დისერტაციის წარდგენა შეიძლება შემდეგ სასწავლო წელს არსებული წესის შესაბამისად;
29. დოქტორანტისთვის დაცვაზე დაშვების უარის თქმის შემთხვევაში, დისერტაცია და მასთან დაკავშირებული სრული დოკუმენტაცია შეინახება უნივერსიტეტის არქივში.
30. დოქტორანტს შეუძლია გაეცნოს ამ დოკუმენტაციას;
31. სადისერტაციო საქმის წარმოებისას არასწორი მონაცემების წარმოდგენა და პლაგიატის დაფიქსირება არის დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის არგაცემის ან ჩამორთმევის საფუძველი, რის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საბჭო და ფორმდება რექტორის ბრძანებით;
32. პლაგიატის დადგენის შემთხვევაში დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელი და რეცენზენტები, რომლებმაც დადებითად შეაფასეს კონტრაფაქციული დისერტაცია, პასუხს აგებენ სადისერტაციო საბჭოსა და უნივერსიტეტის წინაშე ეთიკის კოდექსით და შინაგანაწესით განსაზღვრული ნორმების შესაბამისად.

მუხლი 8. დისერტაციის დაცვა

1. დისერტაციის დაცვა ტარდება სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე;
2. დაცვას საპატიო მიზეზით შეიძლება არ ესწრებოდეს ერთ-ერთი ოფიციალური რეცენზენტი, რომელსაც წარმოდგენილი აქვს დადებითი დასკვნა. ამ შემთხვევაში დასკვნა მთლიანად უნდა იქნეს წაკითხული დაცვის მსვლელობისას. თუ დაცვას არ ესწრება არცერთი ოფიციალური რეცენზენტი, დაცვა არ შედგება.
3. თუ დოქტორანტი დოკუმენტურად დასაბუთებული საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდა დისერტაციის დაცვაზე, საბჭოს კვორუმი არ შედგა ან დაცვა არ შედგა დოქტორანტისაგან დამოუკიდებელი სხვა მიზეზის გამო, საბჭოს მიერ დაცვა დაინიშნება უახლოეს მისაღებ დროს;
4. დოქტორანტისა და ოფიციალური რეცენზენტების მოხსენებების, აგრეთვე საბჭოს წევრებისა და სხვათა გამოსვლების მაქსიმალურ ხანგრძლივობას განსაზღვრავს საბჭო თავმჯდომარის წინადადებით;
5. სხდომის სწავლული მდივანი აცხადებს დოქტორანტის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს, დისერტანტის მიერ გავლილი სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების და


	დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება	თარიღი	დეკემბერი 2019
		თავი	3
	ძირითადი ნაწილი	გვერდი	16/19
		ცვლილება	0

წინასწარი დაცვის შედეგებს, დისერტაციის თემასა და ოფიციალური რეცენზენტების ვინაობას, საბჭოს წევრებს აცნობს დოქტორანტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებსა და დისერტაციის დაცვის პროცედურას;

6. სხდომის თავმჯდომარის წინადადებით დოქტორანტი, რეგლამენტით გათვალისწინებულ დროში, მკაფიოდ აყალიბებს მეცნიერულ სიახლეს, საბჭოს მოახსენებს ნაშრომის ძირითად დებულებებს, მიღებულ შედეგებს და კითხულობს დასკვნებს;
7. დოქტორანტი პასუხობს საბჭოს წევრებისა და დამსწრეთა მიერ დასმულ შეკითხვებს, რის შემდეგაც თავმჯდომარე საბჭოს გააცნობს დისერტაციის წინასწარი დაცვის შედეგებს, გამოხმაურებებს. არსებობის შემთხვევაში, ყველა კრიტიკული შენიშვნა მთლიანად უნდა იქნეს წაკითხული. დოქტორანტი ვალდებულია პასუხი გასცეს ყველა შენიშვნას. იწყება ოფიციალური რეცენზენტების პაექრობა დოქტორანტთან, რის შემდეგაც სიტყვა ეძლევა სამეცნიერო ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელებს დოქტორანტის დახასიათებისათვის. იმართება დისკუსია, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საბჭოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას;
8. დისერტაციის დაცვის დროს დისერტანტმა შეიძლება გამოიყენოს თვალსაჩინო მასალა: პლაკატები, ვიდეო, პროექტორი და სხვა ტექნიკური საშუალებები;
9. დისერტაციის დაცვის მსვლელობა ფიქსირდება აუდიო/ვიდეო ტექნიკური საშუალებებით.

მუხლი 9. სადისერტაციო ნაშრომის შეფასება

1. დისერტაცია უნდა შეფასდეს ერთჯერადად იმავე სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას ან მომდევნო სემესტრში;
2. დოქტორანტის მიერ წარმოდგენილი ნაშრომი ფასდება დაცვის დამთავრებისთანავე საბჭოს თითოეული წევრის მიერ ფარული კენჭისყრით, დადგენილი ფორმის შეფასების ბიულეტენის გამოყენებით (დანართი 1); ნაშრომის საბოლოო შეფასება ხდება საბჭოს წევრთა მიერ შეფასების საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე.
3. დისერტაციის შეფასებისთვის გამოიყენება ხუთი დადებითი და ორი უარყოფითი შეფასება, კერძოდ
 - 3.1. დადებითი შეფასებებია:
 - 3.1.1. ფრიადი (*summacumlaude*) - შესანიშნავი ნაშრომი;
 - 3.1.2. მაღიან კარგი (*magnacumlaude*) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
 - 3.1.3. კარგი (*cumlaude*) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
 - 3.1.4. საშუალო (*bene*) - საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
 - 3.1.5. დამაკმაყოფილებელი (*rite*) - შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
 - 3.2. უარყოფითი შეფასებებია:
 - 3.2.1. არადამაკმაყოფილებელი (*insufficient*) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;
 - 3.2.2. სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*subomnicanone*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.
4. არადამაკმაყოფილებელი (*insufficient*) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი. ამ შემთხვევაში


	დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება	თარიღი	დეკემბერი 2019
		თავი	3
	ძირითადი ნაწილი	გვერდი	17/19
		ცვლილება	0

დოქტორანტმა დაცვიდან ერთი კვირის განმავლობაში განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს სტუდენტის სტატუსის გაგრძელების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი. თუ მან უკვე ისარგებლა ამ უფლებით, მას შეუწყდება სტუდენტის სტატუსი. სრულიად არადამაკმაყოფილებელი (subomnicane) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას; ასეთ შემთხვევაში მას უწყდება სტუდენტის სტატუსი;

5. დაცვის პროცედურის დასრულებისთანავე, სხდომის თავმჯდომარის წინადადებით, საბჭო თავისი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით ირჩევს შეფასებების დამთვლელ კომისიას 3 წევრის შემადგენლობით, რომელიც უზრუნველყოფს პროცედურის ჩატარებას;
6. შეფასებების დამთვლელი კომისია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს, რომელიც პასუხისმგებელია პროცედურის კონფიდენციალურობაზე, შესაბამისი დოკუმენტების შედგენასა და გაფორმებაზე და სხვა ორგანიზაციულ საკითხებზე;
7. პროცედურის დაწყების წინ სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი საბჭოს წევრებს აცნობს აღნიშნულ პროცედურასა და შეფასების ბიულეტენის შევსების წესს;
8. საბჭოს წევრებმა პროცედურაში მონაწილეობა უნდა მიიღონ პერსონალურად. დაუშვებელია შეფასების უფლების გადაცემა სხვა წევრზე;
9. საბჭოს წევრთა შეფასებების საფუძველზე განისაზღვრება საბოლოო შეფასება – თითოეული წევრის მიერ დაწერილი ქულების საშუალო არითმეტიკული;
10. ამ მუხლის მე-3 პუნქტის “3.1.1”-“3.1.5” ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღებისას, დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი;
11. შეფასებების დამთვლელი კომისია პროცედურის შედეგებს აფორმებს ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და წევრები. შეფასების დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე საბჭოს უცხადებს პროცედურის შედეგებს და შესაბამისი ოქმი მტკიცდება ღია კენჭისყრით, საბჭოს დამსწრე წევრთა არანაკლებ 3/4-ის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში. ოქმი და ბიულეტენები ინახება საუნივერსიტეტო არქივში დოქტორანტის დოკუმენტებთან ერთად;
12. თუ შეფასებების დამთვლელი კომისიის ოქმი ვერ დამტკიცდა, შეფასების პროცედურა უნდა განმეორდეს ან გადაიდოს შემდეგი სამუშაო დღისათვის. შეფასების დამთვლელი კომისია ამზადებს ახალ ბიულეტენებს და სადისერტაციო საბჭო ხელახლა აწყობს ფარულ პროცედურას;
13. შეფასებების დამთვლელი კომისიის ოქმის დამტკიცების შემდეგ საბჭოს თავმჯდომარე საბოლოო გადაწყვეტილებას აცნობს დისერტანტს და აუდიტორიას;
14. დისერტაციის დაცვის შემდეგ საუნივერსიტეტო არქივს გადაეცემა:
 - 14.1. მუხლი 2-ის 2.2-2.5 პარაგრაფებში ჩამოთვლილი დოკუმენტაცია;
 - 14.2. წინასწარ და საბოლოო დაცვასთან დაკავშირებული ყველა სახის დოკუმენტაცია (აუდიო-ვიდეო ჩანაწერები, ოქმები, უწყისები, ასლები, შეტყობინებები, რეცენზენტების დასკვნები, ხმის დამთვლელი კომისიის ბიულეტენები, გადაწყვეტილებები, ბრძანებები და სხვ.).

მუხლი 10. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი

1. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელ დიპლომს გასცემს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი ფორმით, რომელიც ივსება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

	დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება	თარიღი	დეკემბერი 2019
		თავი	4
	დანართები	გვერდი	18/19
		ცვლილება	0

4. დანართები

დანართი 1

შეფასების ბიულეტენის ფორმა

სადისერტაციო საბჭოს დასახელება
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის სახელი და გვარი
დოქტორანტის სახელი და გვარი
შეფასების კრიტერიუმები


№	კრიტერიუმები	ქულა (100)	ქულები	შენიშვნა
1	თემის აქტუალობა	10-18		
2	მიგნება	10-20		
3	პრობლემის გადაჭრის გზა	10-25		
4	თემის პრაქტიკული ღირებულება	10-20		
5	დოქტორანტის მსჯელობა	10-17		
ჯამი:				

საბოლოო შეფასება

- ფრიადი (*summacumlaude*) - შესანიშნავი ნაშრომი, 91-100 ქულა;
- ძალიან კარგი (*magnacumlaude*) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება, 81-90 ქულა;
- კარგი (*cumlaude*) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება, 71-80 ქულა;
- საშუალო (*bene*) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს, 61-70 ქულა;
- დამაკმაყოფილებელი (*rite*) - შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს, 51-60 ქულა;
- არადამაკმაყოფილებელი (*insufficienter*) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს, 41-50 ქულა;
- სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*subomnicane*) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს, 41-ზე ნაკლები ქულა.

შენიშვნა: თითოეული კომპონენტისათვის მინიმალურ ზღვარზე ნაკლები შეფასების შემთხვევაში ჩაეთვლება 0 ქულა.

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის
სახელი, გვარი ხელმოწერა
თარიღი

	დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება	თარიღი	დეკემბერი 2019
		თავი	4
	დანართები	გვერდი	19/19
		ცვლილება	0

დანართი 2

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარსადგენი ავტორეფერატის გაფორმების ინსტრუქცია

მოცულობა: ავტორეფერატის მოცულობა ინგლისური რეზიუმეს ჩათვლით არ უნდა აღემატებოდეს ორ ნაბეჭდ თაბახს (32 გვერდს); აღნიშნულ რაოდენობაში იგულისხმება ყველა გვერდი.

ენა: ავტორეფერატი შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე და უნდა დაერთოს ინგლისური რეზიუმე (მოცულობა – 500- 800 სიტყვა).

სტრუქტურა: ავტორეფერატში ასახული უნდა იყოს: თემის აქტუალურობა, სამუშაოს მიზანი, კვლევის ობიექტი და მეთოდები, ნაშრომის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე, შედეგების გამოყენების სფერო, ცნობები დისერტაციის მოცულობისა და სტრუქტურის შესახებ, დისერტაციის ძირითადი შედეგები თავების მიხედვით და ზოგადი დასკვნები; ავტორეფერატი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ნაშრომის აპრობაციის შესახებ (მოხსენებები კონფერენციებზე, ფორუმებზე, სიმპოზიუმებზე, სემინარებზე), აგრეთვე გამოქვეყნებული ნაშრომების, პატენტების და საავტორო მოწმობების სიას, რომელთა შინაარსი შეესაბამება დისერტაციის თემატიკას და შედის სადისერტაციო ნაშრომში.

ფურცლის ზომა: ავტორეფერატი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის (297×210 მმ) ფურცელზე, ქაღალდზე. ორიენტაცია – ვერტიკალური. მინდორი: მარცხენა მხარე – 38 მმ, დანარჩენი მხარეები – 25 მმ.

შრიფტი: ტექსტი უნდა შესრულდეს სტანდარტული შრიფტით Sylfaen, ზომით 12. ტექსტი უნდა დაიბეჭდოს ლაზერულ პრინტერზე ან სხვა საბეჭდი საშუალებით, რომელიც ანალოგიურ ხარისხს უზრუნველყოფს.

თავებისა და ქვეთავების დასახელებები: თავებისა და ქვეთავების დასახელების შრიფტის ზომა შეიძლება აღემატებოდეს ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომას. ქვეთავი უნდა გაგრძელდეს იმავე გვერდიდან; დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება.

გვერდების ნუმერაცია: ყველა გვერდი, გარდა სატიტულო ფურცლისა, უნდა იქნეს დანომრილი თანამიმდევრობით. გვერდები ინომრება ქვედა კიდეზე ცენტრში, არაბული ციფრებით. ნომრის შრიფტის ზომა უნდა იყოს 10. სტრიქონებს შორის მანძილი: ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალი უნდა იყოს 1,5.

სატიტულო ფურცელი უნდა მოიცავდეს ტექსტს: საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, ხელნაწერის უფლებით, დოქტორანტის სახელი და გვარი, დისერტაციის დასახელება, წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ავტორეფერატი, სადოქტორო პროგრამის დასახელება, შიფრი კლასიფიკატორის მიხედვით, თბილისი, წელი.

მეორე გვერდზე უნდა განთავსდეს: დაწესებულების და სტრუქტურული (ორგანიზაციული) ერთეულის დასახელება, სადაც შესრულდა ნაშრომი, ხელმძღვანელი, რეცენზენტები, რომელი სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე შედგება დისერტაციის დაცვა, დისერტაციის დაცვის დრო (წელი, თვე, რიცხვი, საათი) და ადგილი (მისამართი, კორპუსისა და აუდიტორიის ნომერი). დისერტაციის დაცვის დრო და ადგილი ჩაიწერება ხელით. ბოლოს ხელს აწერს სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი.